

შეზღუდული პასუხისმგებლობის
საზოგადოება

როიალ გემბლინგ

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული
წლისათვის



შინაარსი:

1. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
2. სრული შემოსავლის ანგარიშგება	7
3. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	8
4. საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	9
5. ფულადი ნაკადების ანგარიშგება	10
6. ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	11

ქ. ბათუმი
2022 წელი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „შპს როიალ გემბლინგ-ის“ პარტნიორებსა და ხელმძღვანელობას

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „შპს როიალ გემბლინგ-ის“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისგან, ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის - “პირობითი მოსაზრების საფუძველი” - ნაწილში აღწერილი საკითხების გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას ამავე თარიღით დასრულებული წლისთვის, მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („მსს ფასს“) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მარაგების საბალანსო ღირებულება შეადგენს 539,035 ლარს (2021 წლის 31 დეკემბერი: 566,435 ლარს). 2022 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესში ჩვენ არ დავსწრებივართ მარაგების ინვენტარიზაციას, ვინაიდან ამ თარიღის შემდეგ დავინიშნეთ აუდიტორებად, შესაბამისად, კომპანიის მიერ აღრიცხული მარაგების სისწორეში ვერ დავრწმუნდით.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები შეადგენს 3,792,984 ლარს (2021 წლის 31 დეკემბერი: 4,005,439 ლარს). ჩვენ არ დავსწრებივართ ნაღდი ფულის ინვენტარიზაციის პროცესს 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ვინაიდან ამ თარიღის შემდეგ დავინიშნეთ აუდიტორებად. შესაბამისად, კომპანიის მიერ აღრიცხული ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტების სისწორეში ვერ დავრწმუნდით.

შედეგად, ჩვენ ვერ შევძელით განგვესაზღვრა საჭირო იყო თუ არა კორექტირებები წარდგენილ მარაგებთან და ფულადი სახსრებისა და მათ ექვივალენტებთან დაკავშირებით, ასევე ფინანსური მდგომარეობის, სრული შემოსავლის, საკუთარი კაპიტალის ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებების შესაბამის შემადგენელ ელემენტებთან მიმართებაში.

აუდიტი წარმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. პასუხისმგებლობა, რომელსაც აღნიშნული სტანდარტები ჩვენთვის ითვალისწინებს, განმარტებულია ჩვენი დასკვნის ქვეთავში „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებელი ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ (საერთაშორისო დამოუკიდებლობის სტანდარტების ჩათვლით) (IESBA კოდექსი) შესაბამისად, და შესრულებული გვაქვს IESBA კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია მოიცავს „მმართველობის ანგარიშგებას“, ფინანსური ანგარიშგებისა და მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნის გამოკლებით. სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა.

ჩვენი დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ მმართველობის ანგარიშგებას და განვიხილოთ არის თუ არა იგი არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ჩვენ ასევე მოგვეთხოვება გამოვთქვათ ჩვენი მოსაზრება შეესაბამება თუ არა მმართველობის ანგარიშგების გარკვეული ნაწილები შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და მოიცავს თუ არა მმართველობის ანგარიშგება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნის შესაბამისად სრულ ინფორმაციას.

აუდიტის მსვლელობისას შესრულებული სამუშაოს საფუძველზე, ჩვენი აზრით, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- მმართველობის ანგარიშგებაში იმ ფინანსური წლის შესახებ მოცემული ინფორმაცია, რომლის ფინანსური ანგარიშგებაც წარმოდგენილია, მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების შესაბამისად; და
- მმართველობის ანგარიშგება მოიცავს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პარაგრაფით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე “მსს ფასს”-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა შეაფასოს, შესწევს თუ არა კომპანიას უნარი, საქმიანობა გააგრძელოს, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე, განაცხადოს ფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებული საკითხები და აღრიცხვისას გამოიყენოს ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ მას არ აქვს რეალური არჩევანი ასე რომ არ მოიქცეს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია გონივრული რწმუნების მოპოვება იმაზე, ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში თავისუფალია თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობისგან და აუდიტორის დასკვნის გამოცემა, რომელიც ჩვენს მოსაზრებას შეიცავს. გონივრული რწმუნება არის მაღალი დონის რწმუნება, მაგრამ არა გარანტია იმისა, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას (ასეთის არსებობის შემთხვევაში). უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა მაშინ, თუ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ ცალ-ცალკე ან ერთობლივად გავლენას იქონიებენ მომხმარებლების მიერ წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

ასს-ის მიხედვით, აუდიტის ჩატარების პროცესში ჩვენ მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ჩვენ ასევე:

- გამოვავლენთ და ვაფასებთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკებს, ვგეგმავთ და ვატარებთ აუდიტორულ პროცედურებს ამ რისკებზე რეაგირების მიზნით და მოვიპოვებთ აუდიტორულ მტკიცებულებას, რომელიც საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოთქმისთვის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული რისკი, რადგან თაღლითობა შეიძლება მოიცავდეს საიდუმლო მორიგებას, გაყალბებას, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, არასწორი ინფორმაციის წარდგენას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას;
- შევისწავლით აუდიტის შესაბამის შიდა კონტროლს, რათა დავგეგმოთ მოცემული კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე;

- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის, ასევე მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების და შესაბამისი განმარტებითი შენიშვნების მართებულობას;
- ვაფასებთ, რამდენად მართებულია ხელმძღვანელობის მიერ აღრიცხვისთვის ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენება და მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვასკვნით, არსებობს თუ არა ისეთ მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც შეიძლება მნიშვნელოვანი ეჭვის საფუძველი გახდეს იმასთან მიმართებაში, შეძლებს თუ არა კომპანია გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. თუ დავასკვნით, რომ არსებითი განუსაზღვრელობა არსებობს, ვალდებულები ვართ, აუდიტორის დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსური ანგარიშგების შესაბამის განმარტებით შენიშვნებზე, ან, თუ განმარტებითი შენიშვნები არ არის საკმარისი, მოვახდინოთ ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებას. თუმცა სამომავლო მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება გამოიწვიოს კომპანიის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა;
- მთლიანობაში ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, სტრუქტურასა და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით, და აგრეთვე იმას, თუ ასახავს ფინანსური ანგარიშგება საბაზისო ოპერაციებსა და მოვლენებს ისე, რომ უზრუნველყოფდეს სამართლიან წარდგენას.
- პარტნიორთა და სამეთვალყურეო საბჭოს, სხვა საკითხებთან ერთად, ვატყობინებთ აუდიტის მასშტაბს და ვადებს, აგრეთვე აუდიტორული შემოწმების მნიშვნელოვან შედეგებს, მათ შორის შიდა კონტროლის მნიშვნელოვან ნაკლოვანებებს, რომლებსაც აუდიტის პროცესში გამოვავლენთ.

მამუკა მარდალეიშვილი
შპს თიემსი
19 დეკემბერი, 2023
თბილისი, საქართველო



შპს "როიალ გემბლინგ"
სრული შემოსავლების ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

		31.12.2022	31.12.2021
ამონაგები	4	25,345,278	14,342,895
სხვა შემოსავლები		236,005	28,914
ცვლილება მარაგსა და დაუმთავრებელ წარმოებაში		(27,401)	245,104
მარაგის შეძენა		(3,110,274)	(2,499,084)
დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოს ხარჯი		(10,202,299)	(6,300,775)
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი		(1,093,827)	(760,231)
შეძენილი მომსახურების ხარჯი	5	(8,005,653)	(5,070,044)
საგადასახადო ხარჯი		(49,876)	(41,887)
სხვა ხარჯი	6	(193,856)	(20,728)
მოგება-ზარალი საოპერაციო საქმიანობიდან		2,898,098	(75,835)
საკურსო სხვაობით მიღებული შემოსულობა და ზარალი		(42,359)	1,400
ფინანსური ხარჯი		(32,262)	-
მოგება-ზარალი დაბეგვრამდე		2,823,476	(74,435)
საანგარიშო პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი		2,823,476	(74,435)

დირექტორი

რაიზულ მამულაძე

ბუღალტერი

გიორგი ცენტერაძე

შპს "როიალ გემბლინგ"
სრული შემოსავლების ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

		31.12.2022	31.12.2021
ამონაგები	4	25,345,278	14,342,895
სხვა შემოსავლები		236,005	28,914
ცვლილება მარაგსა და დაუმთავრებელ წარმოებაში		(27,401)	245,104
მარაგის შეძენა		(3,110,274)	(2,499,084)
დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოს ხარჯი		(10,202,299)	(6,300,775)
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი		(1,093,827)	(760,231)
შეძენილი მომსახურების ხარჯი	5	(8,005,653)	(5,070,044)
საგადასახადო ხარჯი		(49,876)	(41,887)
სხვა ხარჯი	6	(193,856)	(20,728)
მოგება-ზარალი საოპერაციო საქმიანობიდან		2,898,098	(75,835)
საკურსო სხვაობით მიღებული შემოსულობა და ზარალი		(42,359)	1,400
ფინანსური ხარჯი		(32,262)	-
მოგება-ზარალი დაბეგვრამდე		2,823,476	(74,435)
საანგარიშო პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი		2,823,476	(74,435)

დირექტორი 

რაიზულ მამულაძე

ბუღალტერი 

გიორგი ცენტერაძე

შპს "როიალ გემბლინგ"
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

		31.12.2022	31.12.2021
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	7	5,609,603	5,238,316
არამატერიალური აქტივები	8	199,854	200,887
სულ გრძელვადიანი აქტივი		5,809,457	5,439,203
მიმდინარე აქტივები			
მარაგი	9	539,035	566,435
მოთხოვნები და სხვა წინასწარ გადახდები	10	1,290,254	812,377
ფულადი სახსრები და ექვივალენტები	11	3,792,984	4,005,439
სულ მიმდინარე აქტივები		5,622,272	5,384,252
სულ აქტივები		11,431,730	10,823,455
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		8,937,783	11,589,869
გაუნაწილებელი მოგება-ზარალი		699,392	(2,124,084)
სულ საკუთარი კაპიტალი		9,637,175	9,465,785
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	12	1,300,345	861,103
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებები		494,210	496,566
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		1,794,555	1,357,669
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		11,431,730	10,823,455

დირექტორი

რაიზულ მამულაძე

მთ. ბუღალტერი

გიორგი ცენტერაძე

შპს "როიალ გემბლინგ"
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

31.12.2022 31.12.2021

აქტივები

გრძელვადიანი აქტივები

ძირითადი საშუალებები

7 5,609,603 5,238,316

არამატერიალური აქტივები

8 199,854 200,887

სულ გრძელვადიანი აქტივი

5,809,457 5,439,203

მიმდინარე აქტივები

მარაგი

9 539,035 566,435

მოთხოვნები და სხვა წინასწარ გადახდები

10 1,290,254 812,377

ფულადი სახსრები და ექვივალენტები

11 3,792,984 4,005,439

სულ მიმდინარე აქტივები

5,622,272 5,384,252

სულ აქტივები

11,431,730 10,823,455

საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები

საკუთარი კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი

8,937,783 11,589,869

გაუნაწილებელი მოგება-ზარალი

699,392 (2,124,084)

სულ საკუთარი კაპიტალი

9,637,175 9,465,785

მოკლევადიანი ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

12 1,300,345 861,103

მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებები

494,210 496,566

სულ მოკლევადიანი ვალდებულებები

1,794,555 1,357,669

სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები

11,431,730 10,823,455

დირექტორი



რაიზულ მამულაძე

მთ. ბუღალტერი



გიორგი ცენტერაძე

შპს "როიალ გემბლინგ"
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებე ლი მოგება- ზარალი	სულ კაპიტალი
31.12.2020 ნაშთი	6,970,198	(2,049,648)	4,920,550
საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება (+;-)	4,619,671		4,619,671
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი		(74,435)	(74,435)
გაცემული დივიდენდი		-	-
31.12.2021 ნაშთი	11,589,869	(2,124,084)	9,465,785
საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება (+;-)	(2,652,086)		(2,652,086)
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი		2,823,476	2,823,476
გაცემული დივიდენდი			-
31.12.2022 ნაშთი	8,937,783	699,392	9,637,175

დირექტორი

რაიზულ მამულაძე

ბუღალტერი

გიორგი ცენტერაძე

შპს "როიალ გემბლინგ"
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებე ლი მოგება- ზარალი	სულ კაპიტალი
31.12.2020 ნაშთი	6,970,198	(2,049,648)	4,920,550
საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება (+;-)	4,619,671		4,619,671
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი		(74,435)	(74,435)
გაცემული დივიდენდი		-	-
31.12.2021 ნაშთი	11,589,869	(2,124,084)	9,465,785
საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება (+;-)	(2,652,086)		(2,652,086)
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი		2,823,476	2,823,476
გაცემული დივიდენდი		-	-
31.12.2022 ნაშთი	8,937,783	699,392	9,637,175

დირექტორი  რაიზულ მამულაძე

ბუღალტერი  გიორგი ცენტურაძე

შპს "როიალ გემბლინგ"
ფულადი ნაკადების ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ფულადი ნაკადების ანგარიშგება პირდაპირი მეთოდით

	31.12.2022	31.12.2021
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
კლიენტიდან მიღებული ფულადი სახსრები	26,148,496	14,862,385
მომწოდებლებზე გადახდილი ფული	(9,730,178)	(8,323,166)
თანამშრომლებზე გადახდილი ფული	(7,758,512)	(4,585,377)
<u>საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული თანხები</u>	<u>8,659,806</u>	<u>1,953,842</u>
გადახდილი გადასახდები	(6,166,551)	(3,072,295)
<u>წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან</u>	<u>2,493,256</u>	<u>(1,118,453)</u>
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება	(2,652,086)	4,305,639
<u>საინვესტიციო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები</u>	<u>(2,652,086)</u>	<u>4,305,639</u>
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
სავალუტო გადაფასების შემოსავალი	12,200	105,335
სავალუტო გადაფასების ხარჯი	(65,825)	(172,160)
<u>საფინანსო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები</u>	<u>(53,625)</u>	<u>(66,826)</u>
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების წმინდა ზრდა/შემცირება	(212,456)	3,120,360
ფულადი სახსრები და ექვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისათვის	4,005,439	885,079
ფულადი სახსრები და ექვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის	<u>3,792,984</u>	<u>4,005,439</u>

დირექტორი

რაიზულ მამულაძე

მთ. ბუღალტერი

გიორგი ცენტერაძე

შპს "როიალ გემბლინგ"
ფულადი ნაკადების ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

ფულადი ნაკადების ანგარიშგება პირდაპირი მეთოდით

	31.12.2022	31.12.2021
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
კლიენტიდან მიღებული ფულადი სახსრები	26,148,496	14,862,385
მომწოდებლებზე გადახდილი ფული	(9,730,178)	(8,323,166)
თანამშრომლებზე გადახდილი ფული	(7,758,512)	(4,585,377)
<u>საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული თანხები</u>	<u>8,659,806</u>	<u>1,953,842</u>
გადახდილი გადასახდები	(6,166,551)	(3,072,295)
<u>წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან</u>	<u>2,493,256</u>	<u>(1,118,453)</u>
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება	(2,652,086)	4,305,639
<u>საინვესტიციო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები</u>	<u>(2,652,086)</u>	<u>4,305,639</u>
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
სავალუტო გადაფასების შემოსავალი	12,200	105,335
სავალუტო გადაფასების ხარჯი	(65,825)	(172,160)
<u>საფინანსო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები</u>	<u>(53,625)</u>	<u>(66,826)</u>
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების წმინდა ზრდა/შემცირება	(212,456)	3,120,360
ფულადი სახსრები და ექვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისათვის	4,005,439	885,079
ფულადი სახსრები და ექვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის	3,792,984	4,005,439

დირექტორი  რაიზულ მამულაძე

მთ. ბუღალტერი  გიორგი ცენტერაძე

ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა და

განმარტებითი შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს შპს როიალ გემბლინგ-ს წლიურ ფინანსურ ანგარიშგებას, საწარმოს წლიური ფინანსური ანგარიშგების მომზადება ემყარება ფუნქციონირებადობისა და დარიცხვის მეთოდის ძირითად დაშვებებს. საწარმოს საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს. ფინანსური ანგარიშგება შედგენილია 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. საწარმოს საანგარიშგებო ვალუტაა ქართული ლარი. ანგარიშგებაში რიცხობრივი მონაცემები ასახულია ერთეულამდე სიზუსტით.

შპს როიალ გემბლინგი (შემდეგში საწარმო) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას რომელიც ფუნქციონირებს საქართველოში, რეგისტრირებულია სამეწარმეო და საგადასახადო რეესტრში 2019 წლის 4 სექტემბრიდან წარმოადგენს კერძო სამართლის იურიდიულ პირს. საწარმოს საიდენტიფიკაციო ნომერია 445565656; იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. ბათუმი, დ.თავდადებულის 50 ბ 91, ფაქტიური მისამართი, ბათუმი, ბარათაშვილის 17

საწარმოს მფლობელი არის ფიზიკური პირი:

ომარ ალიევი 100%-ის წილის მფლობელი

შპს როიალ გემბლინგი რეგისტრაციის დღიდან ახორციელებს აზარტული და მომგებიანი თამაშობების ორგანიზებას, სხვადასხვა სტუმართ-მასპინძლობის მომსახურებებს, ამ მიზნით ქ. ბათუმში სასტუმრო როიალში იჯარით აღებული აქვს ფართი სადაც ახორციელებს საქმიანობას.

საწარმოს საქმიანობა ხორციელდება საქართველოს ტერიტორიაზე. შესაბამისად, დამოკიდებულია საქართველოს ეკონომიკურ და ფინანსურ ბაზრებზე, რომლებიც წარმოადგენენ განვითარებადი ქვეყნების ბაზრებს. სამართლებრივი, საგადასახადო და მარეგულირებელი ბაზები ჯერ კიდევ ვითარდება და განიცდის სხვადასხვა ინტერპრეტაციებსა და ცვლილებებს მათი სრულყოფის მიმართულებით.

2. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა

ქვემოთ მოცემულია საწარმოს სააღრიცხვო პოლიტიკის ის არსებითი ნაწილი, რომელიც თანმიმდევრულად გამოიყენებოდა წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად.

2.1 შესაბამისობის პრინციპი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

2.2 ფინანსური ანგარიშგების მომზადების პრინციპები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. საწარმო არ ფლობს ისეთ ინსტრუმენტებს, რომელთა შეფასებაც უნდა მომხდარიყო რეალური ღირებულებით. ისტორიული ღირებულება, ჩვეულებრივ განისაზღვრება საქონლისა და მომსახურების სანაცვლოდ გადაცემული ანაზღაურების რეალური ღირებულებით. რეალური ღირებულება განისაზღვრება როგორც ფასი, რომელიც მიღებული ან გადახდილი

იქნებოდა აქტივის გაყიდვიდან ან ვალდებულების გადაცემისას, ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების თარიღისთვის ნებაყოფლობით განხორციელებული გარიგების დროს.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადობის პრინციპის დაშვებით, ანუ დაშვებით, რომ საწარმო განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში.

2.3 სამუშაო და წარსადგენი ვალუტა

საწარმოს სამუშაო ვალუტა არის ეროვნული ვალუტა „ლარი“. ვალუტა, რომლითაც განსაზღვრულია საწარმოს სა-ქონლისა და მომსახურების გასაყიდი ფასები და რითაც ხდება ანგარიშსწორება. მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის წარსადგენ ვალუტად გამოყენებულია ეროვნულ ვალუტა - ლარი.

2.4 ამონაგების აღიარება

2.4.1 მომგებიანი და აზარტული თამაშოებებიდან მიღებული ამონაგები

სათამაშო მაგიდეებიდან მიღებული შემოსავლების აღიარება ხდება ყოველი საანგარიშო დღის ბოლოს სათამაშო მაგიდეებიდან მიღებული შედეგების მიხედვით, კერძოდ, გაცემული, დაბრუნებული და მომხმარებელთან დარჩენილი ჟეტონების აღრიცხვის საფუძველზე.

სათამაშო აპარატებიდან მიღებული შემოსავლების აღრიცხვა ხდება დღის ბოლოს აპარატში არსებული ელექტრონული მრიცხველების მიხედვით.

2.4.2. საქონლის გაყიდვა და მომსახურების გაწევა

გაყიდვებთან დაკავშირებული ამონაგების აღიარება ხდება საქონლის (მომსახურების) მიწოდების და საკუთრების უფლების გადაცემის მომენტში. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, რომელიც შემცირებულია ფასდაკლებებით.

საწარმო მომსახურებიდან ამონაგებს აღიარებს მომსახურების გაწევის შესაბამის საანგარიშგებო პერიოდებში.

მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ამონაგების აღიარება ხდება ბალანსის შედგენის თარიღისათვის მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის შესაბამისად, თუ შესაძლებელი იქნება მომსახურების შედეგების საიმედოდ შეფასება. მომსახურების შედეგების საიმედოდ შეფასება მაშინ არის შესაძლებელი, თუ დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობები:

- ა) შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ განსაზღვრა;
- ბ) საწარმოში მოსალოდნელია მომსახურების ოპერაციიდან ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა;

ამონაგები მოიცავს მხოლოდ საწარმოს მიერ თავის ანგარიშზე მიღებულ ან მისაღებ ეკონომიკური სარგებლის სა-ერთო თანხას.

2.5 მომუშავეთა გასამრჯელო

საწარმო დასაქმებულ პირებზე გადასხდელი გასამრჯელოს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია ხელფასთან, ფასიან შვებულებასთან და ბიულეტენთან, აღიარებს იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც დასაქმებული პირები გასწევენ შესაბამის მომსახურებას. მომუშავეთა მოკლევადიან გასამრჯელოებთან დაკავშირებული გასამრჯელოები ფასდება იმ თანხის არადისკონტირებული ოდენობით, რომლის გადახდასაც საწარმო აპირებს გაწეული მომსახურებისათვის. ვალდებულების სახით აღიარებული მოკლევადიანი გასამრჯელო აღიარდება როგორც ხარჯი, თუ სტანდარტის რომელიმე თავი არ მოითხოვს, რომ გასამრჯელოები ჩაირთოს აქტივის თვითღირებულებაში. ანალოგიურად, ანაზღაურებადი შვებულების ფორმის დასაქმებული პირის მოკლევადიანი გასამრჯელოებისთვის მოსალოდნელი დანახარჯი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც დაფიქსირდება სამუშაოზე არყოფნის ფაქტი.

2.6 მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი შედგება მიმდინარე მოგების გადასახადისაგან. მოგების გადასახადის გაანგარიშება ხდება საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი საგადასახადო განაკვეთების საფუძველზე. მიმდინარე მოგების გადასახადი მოიცავს საანგარიშგებო პერიოდში განაწილებული დივიდენდიდან გამომდინარე გადასახდელი მოგებიდან გადასახადის თანხას. საანგარიშგებო პერიოდში გამოცხადებული დივიდენდის განაწილებიდან წარმოშობილი გადასახდელი მოგების გადასახადი აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

2.7 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების ღირებულება აქტივად აღიარდება თუ მოსალოდნელია, რომ საწარმო მომავალში ამ აქტივის გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელი იქნება აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება.

ძირითადი საშუალების ერთეული, რომელიც აკმაყოფილებს აქტივის აღიარების კრიტერიუმებს, შეფასდება მისი თვითღირებულებით.

აქტივად აღიარების შემდეგ, ძირითადი საშუალებების ერთეული აღირიცხება მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

ყოველი პერიოდის ცვეთის თანხა, ჩვეულებრივ, ხარჯად აღიარდება მოგებაში ან ზარალში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ეს თანხა შედის სხვა აქტივის საბალანსო ღირებულებაში.

ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით. ძირითადი საშუალებების ცვეთის გაანგარიშებისთვის გამოიყენება შემდეგი განაკვეთები:

მანქანა-დანადგარები და მოწყობილობები	20%
ოფისის აღჭურვილობა	20%
ავეჯი და სხვა ინვენტარი	20%
სატრანსპორტო საშუალებები	12.5%
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	10%

თუ არსებობს რაიმე მინიშნება, რომ ცვეთის განაკვეთებში, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადაში ან ნარჩენ ღირებულებაში მოხდა რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილება, მოხდება აქტივის ცვეთის პოლიტიკის გადასინჯვა და კორექტირება, რათა ასახოს მიმდინარე შეფასებები აქტივის მოსალოდნელ გამოყენებასთან დაკავშირებით.

ძირითადი საშუალების ერთეულის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება გაყიდვის შემთხვევაში ან როდესაც მისი გაყიდვიდან ან გამოყენებიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი.

ძირითადი საშუალების ერთეულის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი აისახება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც აღიარების შეწყვეტა მოხდა. შემოსულობა არ კლასიფიცირდება როგორც ამონაგები. შემოსულობა ან ზარალი, რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ერთეულის აღიარების შეწყვეტისას, განისაზღვრება, როგორც სხვაობა წმინდა გასავლის ამონაგებსა და მის საბალანსო ღირებულებას შორის.

2.8 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივი აღიარდება მხოლოდ მაშინ, როდესაც:

- ა) მოსალოდნელია აქტივზე მიკუთვნებადი მომავალი ეკონომიკური სარგებლის საწარმოში შემოსვლა; და
- ბ) შესაძლებელია აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება.

არამატერიალური აქტივი ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება მისი თვითღირებულებით, რომელიც შემცირებულია ნებისმიერი აკუმულირებული ამორტიზაციის თანხით. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის საფუძველზე 10% იანი განაკვეთით.

2.9 მარაგები

საწარმოს მარაგები შეფასებულია მის თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით.

მარაგების შეძენის დანახარჯები მოიცავს მზა პროდუქციის, ნედლეულის, მასალებისა და მომსახურების შეძენასთან უშუალოდ დაკავშირებულ ყველა ხარჯს. მათ შორის შეძენის (ნასყიდობის) ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს, იმ გადასახადების გარდა, რომლებიც საგადასახადო ორგანოებიდან უბრუნდება საწარმოს, აგრეთვე სატრანსპორტო, დამზადების ხარჯებს და სხვ. სავაჭრო დათმობა, სავაჭრო დანამატი და ა.შ. არ ჩაირთვება შეძენის დანახარჯების გაანგარიშებებში.

ყველა მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისათვის საწარმო იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების ფორმულას.

მარაგის ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის თანხა, აგრეთვე მარაგის დანაკარგის თანხები, შესაბამისად, აღიარდება იმ პერიოდის ხარჯებად, როცა მოხდა ჩამოწერა ან ადგილი ჰქონდა დანაკარგებს.

მარაგის ნეტო სარეალიზაციო ღირებულების გაზრდით გამოწვეული ნებისმიერი ჩამოწერის უკუგატარების თანხა ამცირებს ამავე პერიოდში ხარჯად აღიარებული მარაგის თანხას.

2.10 ფინანსური ინსტრუმენტები

საწარმო მხოლოდ და მხოლოდ იმ შემთხვევაში აღიარებს ფინანსურ აქტივს ან ფინანსურ ვალდებულებას ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუ საწარმო ხდება ფინანსური ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მონაწილე.

თავდაპირველი აღიარებისას საწარმო ფინანსურ აქტივსა და ფინანსურ ვალდებულებას აფასებს რეალური ღირებულებით, რომელსაც დამატებული ან გამოკლებული აქვს გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური აქტივის შეძენასთან, ან ფინანსური ვალდებულების გამოშვებასთან.

2.11 ფინანსური აქტივები

2.11.2 სესხები და მოთხოვნები

მოთხოვნები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები, ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადახდებით, რომელთა ფასი აქტიურ ბაზარზე არ არის კოტირებული. მოთხოვნები (სავაჭრო და სვა მოთხოვნების, ფულადი სახსრების ჩათვლით) ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

2.11.3 მოთხოვნების გაუფასურება

თუ არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ამორტიზებული ღირებულებით ასახულ მოთხოვნებთან დაკავშირებული გაუფასურების ზარალი წარმოიშვა, გაუფასურები ზარალის ოდენობა უნდა შეფასდეს, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და შეფასებული მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის. აქტივის საბალანსო ღირებულება უნდა შემცირდეს რეზერვის ანგარიშის გამოყენებით. ზარალის თანხა უნდა აღიარდეს მოგებაში ან ზარალში.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საწარმო ადგენს, გაუფასურების ობიექტური მტკიცებულების არსებობას ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი ფინანსური აქტივებისათვის და განცალკევებით ან ერთობლივად ისეთი ფინანსური აქტივებისთვის, რომლებიც ინდივიდუალურად არ არის მნიშვნელოვანი.

2.12 ფინანსური ვალდებულებები

საწარმოს ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირებულია როგორც სხვა ფინანსური ვალდებულებები და წარმოდგენილია სავაჭრო ვალდებულებებისა და სხვა ვალდებულებების სახით.

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ნორმალურ საკრედიტო პირობებში განხორციელებული ოპერაციების დროს წარმოშობილ ვალდებულებებს, რომლებიც პროცენტის მატარებელი არ არის.

საწარმოს ფინანსური ვალდებულებები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

2.13 ხარჯები

ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

2.14 ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდეგი მოვლენები მოიცავს ყველა მოვლენას, ბალანსის შედგენის თარიღიდან ფინანსური ანგარიშგების წარდგენისათვის ნების დართვის თარიღამდე, თუნდაც მას ადგილი ჰქონდეს მოგების გამოცხადების ან სხვა შერჩეული ფინანსური ინფორმაციის წარდგენის შემდეგ.

საწარმო ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებული თანხების კორექტირებას ბალანსის შედგენის თარიღის შემდეგ მომხდარი მაკორექტირებელი მოვლენის ასახვის მიზნით.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდეგი არამაკორექტირებელი მოვლენის ხასიათისა და ფინანსური ეფექტის შესახებ ინფორმაცია აისახება ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში.

4. ამონაგები

დასახელება	2022 წელი	2021 წელი
შემოსავალი სათამაშო მაგიდებიდან	16,897,013	11,437,205
შემოსავალი სათამაშო აპარატებიდან	5,798,809	1,881,523
შემოსავალი სასტუმროს, კლუბის და სხვა მომსახურებიდან	2,260,220	861,243
შემოსავალი კლიენტების საჩუქარი	389,235	162,925
ჯამი	25,345,278	14,342,895

5. შეძენილი მომსახურების ხარჯები

დასახელება	2022 წელი	2021 წელი
სალიცენზიო მოსაკრებლების ხარჯი	3,097,616	1,470,101
საიჯარო მომსახურება	2,197,581	1,563,209
კაზინოს სტუმრებზე გაწეული ხარჯები	725,833	513,080
კომუნალური მომსახურება	628,404	429,947
საკონსულტაციო ხარჯი	155,691	213,463
კომუნიკაციის ხარჯი	94,320	67,740
მიმდინარე საექსპლუატაციო ხარჯი	43,588	31,103
რეკლამის ხარჯი	27,294	53,520
დაზღვევის ხარჯი	12,806	12,647
ტრანსპორტირების ხარჯი	1,134	15,367
სხვა მომსახურების ხარჯი	1,021,387	699,867
ჯამი:	8,005,653	5,070,044

6. სხვა ხარჯები

	დასახელება	2022 წელი	2021 წელი
1	სხვა არასასაოპერაციო ხარჯები	113	32
2	ძირითადი საშუალების ჩამოწერა	163,462	-
3	სხვა ადმინისტრაციული ჯარიმები	9,000	-
4	საპატრულო ჯარიმები	494	140
5	გაცემული კომპენსაცია	13,800	-
3	მოგების გადასახადით დასაბეგრი ბრუნვა	4,754	20,556
	ჯამი:	191,623	20,728

7. ძირითადი საშუალებები

	შეძენის ღირებულება	ნაშთი 31.12.2022	შემოსვლა	გასვლა	ნაშთი 31.12.2021
1	იჯარით აღებული ქონების კთილმოწყობა	1,741,580	8,818		1,732,762
5	მანქანა დანადგარები	210,978	999		209,979
6	ოფისის აღჭურვილობა	251,253	43,994		207,259
7	ავეჯი და სხვა ინვენტარი	3,677,347	242,232		3,435,115
8	სატრანსპორტო საშუალებები	1,524,791	1,309,916	186,814	401,688
	ჯამი:	7,405,949	1,605,959	186,814	5,986,804

	ცვეთა	ნაშთი 31.12.2022	ცვეთის დარიცხვა	ცვეთის ჩამოწერა	ნაშთი 31.12.2021
1	იჯარით აღებული ქონების კთილმოწყობა	315,821	174,158		141,663
4	მანქანა დანადგარები	64,198	41,960		22,238
5	ოფისის აღჭურვილობა	77,974	48,193		29,782
6	ავეჯი და სხვა ინვენტარი	1,219,325	712,760		506,565
7	სატრანსპორტო საშუალებები	119,028	94,140	23,352	48,240
	ჯამი:	1,796,346	1,071,211	23,352	748,488

	საბალანსო ღირებულება	5,609,603			5,238,316
--	-----------------------------	------------------	--	--	------------------

ძირითადი საშუალებების ცვეთა დარიცხულია წრფივი მეთოდით, აქტივები ბალანსში ასახულია თვითღირებულებიდან აკუმულირებული ცვეთის თანხის გამოკლებით.

8. არამატერიალური აქტივები

(ლარი)

	შემენის ღირებულება	ნაშთი 31.12.2022	შემოსვლა	გასვლა	ნაშთი 31.12.2021
1	პროგრამული უზრუნველყოფა	234,214	21,584	-	212,630
	ჯამი:	234,214	21,584	-	212,630

	ცვეთა	ნაშთი 31.12.2022	შემოსვლა	გასვლა	ნაშთი 31.12.2021
1	პროგრამული უზრუნველყოფა	34,360	22,617		11,743
	ჯამი:	34,360	22,617	-	11,743
	საბალანსო ღირებულება	199,854			200,887

9. მარაგი

	დასახელება	ნაშთი 31.12.2022	ნაშთი 31.12.2021
1	ხარჯად აღიარებული მარაგი	3,137,674	2,253,980
2	მარაგის ნაშთი წლის დასაწყისში	566,435	321,332
3	მარაგის ნაშთი წლის ბოლოს	539,035	566,435

10. მოთხოვნები და წინასწარი გადახდები

	დასახელება	ნაშთი 31.12.2022	ნაშთი 31.12.2021
1	სავაჭრო მოთხოვნები	14,856	19,287
2	წინასწარ გადახდილი გადასახადები	1,123,487	677,600
3	მოთხოვნა პერსონალთან	854	2
4	გადახდილი ავანსები	151,056	115,488
	ჯამი:	1,290,254	812,377

11. ფულადი სახსრები

	დასახელება	ნაშთი 31.12.2022	ნაშთი 31.12.2021
1	ფული საბანკო ანგარიშზე - ეროვნული ვალუტა	112,288	11,104
2	ფული საბანკო ანგარიშზე - უცხოური ვალუტა	789	497
3	ნაღდი ფული სალაროში - ეროვნული ვალუტა	3,679,907	3,993,837
4	ნაღდი ფული სალაროში - უცხოური ვალუტა	33,362	136,056
	ჯამი:	3,792,984	4,005,439

12. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	დასახელება	ნაშთი 31.12.2022	ნაშთი 31.12.2021
1	სავაჭრო ვალდებულებები	636,854	559,740
2	პერსონალთან სახელფასო ვალდებულება	568,571	296,707
3	ვალდებულება პერსონალთან	12,190.00	4,657
4	სალიზინგო ვალდებულება	82,730.00	-
	ჯამი:	1,300,345	861,103

13. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიის მიერ გამოყენებული გაცვლითი კურსები:

31.12.2022. 31.12.2021

აშშ დოლარი/ლარი.	2.7020	3.0976
1 ევრო/ლარი	2.8844	3.5040

14. ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან

მხარეები დაკავშირებულად მიიჩნევიან, თუ ისინი საერთო კონტროლის ქვეშ არიან ან თუ ერთ მხარეს შესწევს უნარი გააკონტროლოს მეორე მხარე ან შესაძლოა ჰქონდეს მნიშვნელოვანი გავლენა ან ერთობლივი კონტროლი მეორე მხარის მიერ ფინანსური და საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღებაზე. დაკავშირებული მხარის ყველა შესაძლო ურთიერთობის გათვალისწინებისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის არსს და არა მის სამართლებრივ ფორმას.

შენიშვნა: კომპანიას დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციები არ გააჩნია.

15. პირობითი და შესაძლო ვალდებულებები

გადასახადები.

საქართველოს სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი, აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ კომპანიის ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოს მიერ. კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ მათ გადაიხადეს საგადასახადო კანონით მოთხოვნილი გადასახადები და რომ დამატებითი რეზერვების შექმნა ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის საჭირო. საგადასახადო ორგანოებს კომპანიის შემოწმება შეუძლიათ ბოლო სამი წლის განმავლობაში.

საოპერაციო გარემო

საქართველოს ბაზარზე პოზიციონირება წარმოშობს დამატებით ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, სამართლებრივ და საკანონმდებლო რისკებს უფრო განვითარებულ ბაზართან შედარებით. კანონები და რეგულაციები, საგადასახადო და მარეგულირებელი ჩარჩოები ზეგავლენას ახდენენ საქართველოში ბიზნესის სწრაფ განვითარებაზე. საქართველოს მომავალ ეკონომიკურ კურსზე ზემოწმდებას ახდენს მთავრობის მიერ მიღებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოსთან ერთად.

საწარმოს 2022 წლის საანგარიშგებო პერიოდის მდგომარეობით გააჩნდა სასამართლო დავები თანამშრომელთან, რომელიც ანგარიშგების შედგენის მომენტისათვის სრულად დახურულია.

16. ფინანსური რისკის მართვის მიზნები და პოლიტიკა

კომპანიაში რისკის მართვის ფუნქციის შესრულება ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და იურიდიულ რისკებთან მიმართებით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს(სავალუტო რისკის, საპროცენტო რისკის, და სხვა ფასის რისკის ჩათვლით), საკრედიტო რისკს და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკის მართვის ფუნქციის ძირითადი მიზნებია რისკის ზღვრების დადგენა და შემდეგ იმის უზრუნველყოფა, რომ რისკები აღნიშნულ ზღვრებში დარჩეს. საოპერაციო და იურიდიული რისკების მართვის ფუნქციები გამიზნულია იმის უზრუნველყოფისათვის, რომ სათანადოდ ფუნქციონირებდეს შიდა პოლიტიკა და პროცედურები, რათა მინიმუმამდე შემცირდეს საოპერაციო და იურიდიული რისკები.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ მეორე მხარე ვერ შეასრულებს ფინანსური ინსტრუმენტით ან მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს და ამით კომპანიას ფინანსური ზარალი მიაღებდა. კომპანიას საკრედიტო რისკი ემოქმედება საოპერაციო საქმიანობის და ფინანსური საქმიანობის ნაწილში, ასევე ბანკებსა და ფინანსურ ინსტიტუტებში განთავსებულ ფინანსურ სახსრებთან მიმართებაში.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს. საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობა, ანგარიშგების თარიღისათვის, წარმოდგენილია შემდეგნაირად.

ფინანსური აქტივები:

	31.12.2022	31.12.2021
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	15,711	19,289
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	<u>3,792,984</u>	<u>4,005,439</u>
	3,808,695	4,024,728

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ კომპანიას სირთულეები შეექმნება ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულებისას. კომპანია ყოველდღიურად იღებს მოთხოვნებს თავის ხელმისაწვდომ ფულად რესურსებზე. ლიკვიდურობის რისკის მართვას ხელმძღვანელობა ახორციელებს კომპანიის ფულადი ნაკადების მცოცავი პროგნოზის ყოველთვიური მონიტორინგით. კომპანია ცდილობს სტაბილური დაფინანსების ბაზის შენარჩუნებას, რაც ძირითადად მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს.

კომპანიის ხელმძღვანელობა რეგულარულად ახორციელებს ლიკვიდურობის მდგომარეობის მონიტორინგს. ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია ვალდებულებები 2022 წლის 31 დეკემბრისათვის, მათი დარჩენილი საკონტრაქტო დაფარვის ვადების მიხედვით. დაფარვის ვადის ცხრილში ნაჩვენებია ვალდებულებების თანხები წარმოადგენენ საკონტრაქტო, არადისკონტირებულ ფულად ნაკადებს, მსგავსი არადისკონტირებული ფულადი ნაკადები განსხვავდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული თანხებისაგან, რადგან ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული თანხებისაგან, რადგან ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახული თანხები ეფუძნება დისკონტირებულ ფულად ნაკადებს.

ფინანსური ვალდებულებები:

	2022 წელი		
	12 თვემდე. ლარი	12 თვეზე მეტი. ლარი	სულ ლარი
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	1,299,837	-	1,299,837
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	<u>494,210</u>	-	<u>494,210</u>
	1,794,047	-	1,794,047

	2021 წელი		
	12 თვემდე. ლარი	12 თვეზე მეტი. ლარი	სულ ლარი
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება	861,103	-	861,103
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	<u>496,566</u>	-	<u>496,566</u>
	1,357,669	-	1,357,669

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების გავლენით.

საბაზრო რისკი წარმოიქმნება ღია პოზიციებიდან: ა) უცხოურ ვალუტასთან, ბ) საპროცენტო განაკვეთები და გ) წილობრივ პროდუქტებთან მიმართებაში, ამასთან ყველა მათგანს გააჩნია საერთო და სპეციფიკური საბაზრო

ცვლილებების რისკი. ხელმძღვანელობა ადგენს რისკის ზღვრებს, რომლის მიღებაც შესაძლებელია, რის მონიტორინგსაც ყოველდღიურად ახორციელებს. თუმცა, ამ მიდგომის გამოყენება არ უზრუნველყოფს ზარალის თავიდან აცილებას, ამ ზღვრების მიღმა უფრო მნიშვნელოვანი საბაზრო ცვლილებების შემთხვევაში.

არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები შეიცვლება საპროცენტო განაკვეთის ცვლილებისა და (საპროცენტო რისკი) უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის გამო (სავალუტო რისკი).

1. საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე.

ეს რისკი შესაძლოა წარმოიშვას აქტივებისა და ვალდებულებების მიღება/დაფარვის ვადების შეუსაბამობით, ასევე იმ შემთხვევაში, თუ ასეთი აქტივები და ვალდებულებები დამოკიდებულია კურსის ცვლილებაზე.

17. კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვისას, კომპანიის მიზანი არის მისი უნარის დაცვა, გააგრძელოს საქმიანობა როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, რათა უზრუნველყოს უკუგება აქციონერებისათვის და სარგებელი სხვა დაინტერესებული მხარეებისათვის და კაპიტალის ოპტიმალური სტრუქტურის შენარჩუნება, რათა შეამციროს კაპიტალის ხარჯი. კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნების ან შესწორების მიზნით, კომპანიამ შესაძლოა, დააკორექტიროს პარტნიორისთვის გადახდილი დივიდენდი ან უკან დაუბრუნოს კაპიტალი პარტნიორს.

18. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ანგარიშგების წარდგენის თარიღამდე კომპანიაში ისეთ მოვლენებს რომელიც საჭიროებს ფინანსური ანგარიშგების შესწორებას ან/და განმარტებით შენიშვნებში ასახვას ადგილი არ ჰქონია.

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2023 წლის 19 დეკემბერს.

დირექტორი:

რაიზულ მამულაძე

მთ. ბუღალტერი:

გიორგი ცენტერაძე

ცვლილებების რისკი. ხელმძღვანელობა ადგენს რისკის ზღვრებს, რომლის მიღებაც შესაძლებელია, რის მონიტორინგსაც ყოველდღიურად ახორციელებს. თუმცა, ამ მიდგომის გამოყენება არ უზრუნველყოფს ზარალის თავიდან აცილებას, ამ ზღვრების მიღმა უფრო მნიშვნელოვანი საბაზრო ცვლილებების შემთხვევაში.

არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები შეიცვლება საპროცენტო განაკვეთის ცვლილებისა და (საპროცენტო რისკი) უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის გამო (სავალუტო რისკი).

1. საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე.

ეს რისკი შესაძლოა წარმოიშვას აქტივებისა და ვალდებულებების მიღება/დაფარვის ვადების შეუსაბამობით, ასევე იმ შემთხვევაში, თუ ასეთი აქტივები და ვალდებულებები დამოკიდებულია კურსის ცვლილებაზე.

17. კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვისას, კომპანიის მიზანი არის მისი უნარის დაცვა, გააგრძელოს საქმიანობა როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, რათა უზრუნველყოს უკუგება აქციონერებისათვის და სარგებელი სხვა დაინტერესებული მხარეებისათვის და კაპიტალის ოპტიმალური სტრუქტურის შენარჩუნება, რათა შეამციროს კაპიტალის ხარჯი. კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნების ან შესწორების მიზნით, კომპანიამ შესაძლოა, დააკორექტიროს პარტნიორისთვის გადახდილი დივიდენდი ან უკან დაუბრუნოს კაპიტალი პარტნიორს.

18. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ანგარიშგების წარდგენის თარიღამდე კომპანიაში ისეთ მოვლენებს რომელიც საჭიროებს ფინანსური ანგარიშგების შესწორებას ან/და განმარტებით შენიშვნებში ასახვას ადგილი არ ჰქონია.

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2023 წლის 19 დეკემბერს.

დირექტორი:

მთ. ბუღალტერი:

რაიბულ მამულაძე

გიორგი ცენტერაძე

შპს „როიალ გემბლინგ“

მ მ ა რ თ ვ ე ლ ო ბ ი ს ა ნ გ ა რ ი შ გ ე ბ ა

საქმიანობის მიმოხილვა

საქართველო, ქ. ბათუმი

2022 წელი

შპს „როიალ გემბლინგ“ ს/ნ: 445565656

რეგისტრირებული, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება 2019 წლის

სექტემბერში. იურიდიული მისამართი: ბათუმი, დ.თავდადებულის 50 ბ 91

ფაქტობრივი მისამართი: ბათუმი, ბარათაშვილის 17

დირექტორი: რაიბულ მამულაძე

ტელ: (+995) 577410941

შ ი ნ ა ა რ ს ი

1. დირექტორის მიმართვა.
2. თავი I - საქმიანობის ანგარიში: საზოგადოების მართვა, ძირითადი მიღწევები, საქმიანობის განვითარება, შედეგებისა და მდგომარეობის აღწერა, სოციალური დაადამიანურ რესურსებთან მუშაობა.
3. თავი II საზოგადოების განვითარების პერსპექტივები.
4. თავი III - განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა.
5. თავი IV - სოციალური და დასაქმების საკითხები.
6. თავი VI - გარემოს დაცვა და ნარჩენების მართვა
7. თავი V - საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები.
8. თავი VII - ძირითადი რისკები და გაურკვევლობები.

შპს „როიალ გემბლინგი“-ს
დირექტორის

მ ი მ ა რ თ ვ ა

ძვირფასო პარტნიორებო, ფინანსური და მმართველობითი ანგარიშის მომხმარებლებო

წარმოგიდგენთ შპს „როიალ გემბლინგი“-ს 2022 წლის ანგარიშს, რომლის ვალდებულებაც კანონის მიხედვით გაგვიჩნდა პირველად. შპს „როიალ გემბლინგი“-ს დირექტორად დანიშნული ვარ 2022 წლის 29 ნოემბერს სადამფუძნებო კრების მიერ.

საწარმოს დაფუძნების და შემდგომი წლები საზოგადოების ბიზნესმიმართულებიდან გამომდინარე იყო პროგრესირებადი და ზრდადი, რაც გამოწვეული იყო ბიზნესაქმიანობაზე მაღალი მოთხოვნიდან გამომდინარე.

საზოგადოების დაფუძნების დღიდან საქმიანობაში მონაწილეობას ღებულობს ერთი დამფუძნებელი, რომელთაც განახორციელეს კომპანიის ფუნქციონირებისათვის საჭირო ფინანსური რესურსების მობილიზება, ასევე მოახდინეს კომპანიის ფუნქციონირებისათვის საჭირო ფართის მოძიება და იჯარის გზით უზრუნველყოფა, რომელიც სასიცოცხლო მნიშვნელობის აღმოჩნდა შემდგომი წარმატებისთვის.

2019 წლის 22 ოქტომბერს საზოგადოებამ გაათვორმა ხელშეკრულება სასტუმრო „პრემიუმენტ პლაზასთან“. აღნიშნული ხელშეკრულების მიხედვით კომპანიის მიერ იჯარით აღებულ იქნა სრული კომპლექსი 5578.20 კვ. მეტრი ფართი, სადაც უკვე არსებობდა სასტუმროს ნომრების ფონდი, ასევე კაზინოს ტერიტორია, რომელშიც შემდგომში განთავსებულ იქნა სათამაშო მაგიდები, აპარატები და სხვა დამატებითი ფართი კაზინოს კლიენტებისთვის მომსახურების მისაწოდებლად. იჯარით აღებულ ქონებაში ასევე შესრულებულ იქნა სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტები, კერძოდ მოეწყო სპა სალონი, რესტორანი და ლაუნჯი.

2021 წელს როცა საზოგადოებამ აქტიურად დაიწყო საქმიანობა, აღნიშნულ პერიოდში ბაზარზე მხოლოდ რამოდენიმე კონკურენტი არსებობდა სექტორში. აღნიშნულმა ფაქტორმა იმოქმედა კომპანიის შემოსავლებისა და მოგების სტაბილურობაზე შემდგომი საანგარიშო პერიოდისათვის, თუმცა ასევე უნდა აღინიშნოს, რომ მიმდინარე პერიოდში სექტორში ძალიან დიდი კონკურენციაა, რაც ერთგვარად უარყოფითად აისახება ბიზნესზე.

წარმატებები, რომელიც მიღწეულია საწარმოში ჩემთან ერთად მომუშავე გამოცდილი პროფესიული კადრების დამსახურებაა, თანამედროვე ტექნოლოგიების სწრაფი განახლებისთვის გადავდგით ნაბიჯი ახალგაზრდებთან მიმართებაში, რომლებიც ჩვენთან ერთად საქმიანობენ და თეორიულ ცოდნასთან ერთად იღებენ პრაქტიკულ გამოცდილებას, მათი ასაკი 30 წლამდეა. იმედი მაქვს ახალგაზრდა თაობა კიდევ უფრო წარმატებით უზრუნველყოფს საწარმოს ფუნქციონირებას.

2022 წელს მიღწეული შედეგები გვაძლევს რწმენას იმისა, რომ, ხელსაყრელ გარემოებებში, მომავალში საზოგადოება შესძლებს გააუმჯობესოს მიღწეული მაჩვენებლები. დასახული მიზნების თანმიმდევრული მიღწევით, როდესაც ამოცანების გადაჭრით, საზოგადოებას განზრახული აქვს 2023 წელსაც გააგრძელოს მომსახურების მაღალი სტანდარტების დანერგვა და კლიენტებისთვის მიწოდება, კომპანიის მართვის სისტემის სრულყოფა, ფინანსურ-ეკონომიკური მაჩვენებლების ამაღლება.

მიმაჩნია, რომ შპს „როიალ გემბლინგი“-ს მენეჯერთა გუნდი და კოლექტივი წარმატებით გაართმევს თავს საზოგადოების თანმიმდევრულ და დაბალანსებულ განვითარებასთან დაკავშირებით დასახულ ამოცანებს.

შპს „როიალ გემბლინგი“

დირექტორი:რაიბულ მამულაძე

თავი I

საქმიანობის ანგარიში

საზოგადოების მართვა

საზოგადოების კრება

საერთო კრება წარმოადგენს საზოგადოების მართვის უმაღლეს ორგანოს.

საკუთარი საქმიანობის წარმართვისას პარტნიორთა საერთო კრება ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით და საზოგადოების წესდებით.

პარტნიორთა საერთო კრებაზე საზოგადოებამ შესაძლებელია გამოაცხადოს დივიდენდების განაწილების შესახებ, განაწილებას დაქვემდებარებულ მოგებასთან დაკავშირებით. საზოგადოება არ არის უფლებამოსილი მიიღოს გადაწყვეტილება დივიდენდების გადახდაზე, მოგების არარსებობისას, დაუშვებელია ასევე დივიდენდების გაცემა თუ საწარმოს ფუნქციონირება ღვას რისკის ქვეშ.

პარტნიორების ძირითადი უფლებები – დივიდენდების მიღების უფლება და საზოგადოების მართვაში მონაწილეობის უფლება – განსაზღვრულია „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონში და საზოგადოების წესდებაში.

საზოგადოების პარტნიორებს უფლება აქვთ მიიღონ მონაწილეობა საზოგადოების მართვაში, პირველ რიგში პარტნიორთა კრებაზე მათ კომპეტენციაში შემავალ საკითხებზე გადაწყვეტილებების მიღების გზით.

პარტნიორთა საერთო კრება წარმოადგენს საზოგადოების მართვის უმაღლეს ორგანოს.

საზოგადოების დირექტორი

საზოგადოების წესდების შესაბამისად, ერთპიროვნული აღმასრულებელი ორგანოს უფლებამოსილებას ანხორციელებს დირექტორი.


საზოგადოების დამფუძნებელთა კრების გადაწყვეტილებით (29 ნოემბერი 2022 წელი ოქმი #1) შპს „როიალ გემბლინგი“-ს დირექტორად არჩეულ იქნა რაიბულ მამულაძე, საქართველოს მოქალაქე.

მართვის სტრუქტურა

საწარმოში შინაგანაწესი შემუშავებული და დამტკიცებულია კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად. შინაგანაწესის მიზანია საწარმოს წესდებით განსაზღვრული ფუნქციების სრულყოფილად განხორციელება. განმარტებულია სამუშაო დროის და პირობების, მუშაკთა უფლებების, მოვალეობების და პასუხისმგებლობების შესახებ.

ყველა სტრუქტურული ერთეულის და თანამდებობის მიხედვით მომზადებულია თანამდებობრივი უფლება-მოვალეობები, რომელიც თითოეული თანამშრომლის სამოქმედო გეგმაა.

დირექტორი საზოგადოების მართვას ანხორციელებს ქვემოთ მოცემული სტრუქტურის მეშვეობით.




საქმიანობის მიმოხილვა

შპს „როიალ“ საქმიანობის ძირითადი სახეობებია:

1. ელექტრონული თამაშობების მონეობა
2. სათამაშო მაგიდებზე თამაშობების ორგანიზება

2022 წლის შემოსავალი სახეობების მიხედვით:



თავი II.

საზოგადოების განვითარების პერსპექტივები

საზოგადოების განვითარების ძირითადი პერსპექტივებია:

- საზოგადოების შემოსავლების ზრდა;
- მომხმარებლების მომსახურების საიმედოობის და ხარისხის ამაღლება;
- არსებული ძირითადი საშუალებების ექსპლოატაცია ნორმების და მისთვის განსაზღვრული პირობების შენარჩუნებით, თავისდროული მიმდინარე და კაპიტალური შეკეთება;

მიმდინარე გეგმები:

- საზოგადოება გეგმავს ახალი მიმართულებების დამატებას სათამაშო ბიზნესში

განვითარების რესურსები:



- საკმარისი ფინანსური რესურსები;
- კვალიფიციური სამუშაო გუნდი;

- შესაბამისი გამოცდილება სექტორში;





განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

საწარმო საქმიანობის მაღალხარისხოვნად შესრულებისთვის სისტემატიურად ანხორციელებს ინვენსტიციებს სათამაშო აპარატებისა და ინვენტარის შესაძენად. ბაზარზე არსებული მოთხოვნების შესასრულებლად საჭიროა თანამედროვე, ხარისხიანი მოწყობილობები რის გამოც სისტემატიურად ხდება სათამაშო აპარატების განახლება.


აღნიშნულ მოთხოვნებს სრულად პასუხობს ბოლო წლებში შეძენილი ტექნიკა:

- მხოლოდ 2022 წელს შეძენილია 1 ცალი მოდერნიზებული, მულტიფუნქციური სათამაშო აპარატი;
- განახლებულ იქნა ოფისის აღჭურვილობა;
- განახლებულ იქნა ავტოპარკი
- ჩატარებულ იქნა შენობა ნაგებობის მცირე სარემონტო სამუშაოები მისი შემდგომი მწარმოებლურობის ამაღლების მიზნით

საზოგადოება წლიდან წლამდე ზრდის ინვენსტიციებს საწარმოში, დასტურად წარმოვადგენთ რამდენიმე სქემას:


1. ბოლო 2 წელში აქტივების ზრდა

აქტივების ზრდის ტენდენცია




2. ინვესტიციები ძირითად საშუალებებში 2021 წლიდან 2022 წლის ჩათვლით


ინვესტიციების მოცულობა




3. შემოსავლების დინამიკა 2021 წლიდან 2022 წლის ჩათვლით



4. სამორინეს ვიზიტორთა დინამიკა 2021-2022 წლები.



5. დასაქმებულთა რაოდენობის დინამიკა 2021-2022 წლებში



თავი IV

სოციალური და დასაქმების საკითხები

შესასრულებელი პროექტების და საწარმოს წარმატებით ფუნქციონირებისათვის მნიშვნელოვანია მომუშავე პერსონალი. ამ საკითხებთან მუშაობს ადამიანურ რესურსების მართვის სამსახური.

პერსონალთან მუშაობა იწყება მიღების დღიდან. პირველ რიგში ვაცნობთ საწარმოს შიგა განაწეს, თანამდებობრივ ინსტრუქციას, უსაფრთხოების წესებს და სამსახურში მიღება ხდება საგამოცდო ვადით.

მუშაკის მოტივაციის გაზრდის მიზნით შემუშავებული გვაქვს თანრიგების სისტემა, თითოეულ თანრიგს აქვს თავის ანაზღაურება. საწარმოში ანაზღაურება გვაქვს საათობრივი, დღიურად, შესრულებული ერთეულის მიხედვით და სარგო. აღნიშნული სისტემა შემუშავებულია წინა პერიოდების გამოცდილებით და ემსახურება პერსონალის მოტივაციის გაზრდას, სამართლიან ანაზღაურებას და საბოლოო ჯამში სამუშაოს ხარისხიანად და დროულად შესრულებას.

საწარმოს თანამშრომლებისთვის გვაქვს კორპორაციული დაზღვევა, რომელიც ორჯერ იაფია ვიდრე ჩვეულებრივი ფიზიკური პირის.

მკაცრად ხდება შრომის კოდექსით მოთხოვნილი პირობების დაცვა.

მუშაკს მოეთხოვება მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულება, მისი დარღვევისთვის სასჯელი განსაზღვრულია გაფრთხილებიდან განთავისუფლებამდე.

შპს „როიალ გემბლინგი“ აღიარებს და მოქმედებს საქართველოში არსებული შრომითი კანონმდებლობის ფარგლებში, ასევე ითვალისწინებს ამ დროისთვის საქართველოს მიერ “შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO)” რატიფიცირებულ 16-ვე კონვენციას.

საზოგადოება უზრუნველყოფს, თანამშრომლებისთვის სისტემატიურ ყოველთვიურ ანაზღაურებას, მათი შრომისუნარიანობისა და კვალიფიკაციის ზრდას.

შპს „როიალ გემბლინგი“ ანხორციელებს თანამშრომელთა სამუშაო ადგილზე ჯანმრთელობის და უსაფრთხოების ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებას. რაც გამოიხატება დასაქმებულებისათვის რეგულარული სემინარების ჩატარებით და საზოგადოების „შრომისა და უსაფრთხოების პოლიტიკის“ ფარგლებში ყოველდღიური ინსპექციების განხორციელებით.

შპს „როიალ გემბლინგი“-ში დასაქმებული თანამშრომლები დაკავებული თანამდებობების/პოზიციების მიხედვით შეგვიძლია გადავანაწილოთ სამ ძირითად ჯგუფში, როგორც: დირექტორთა საბჭო, მენეჯმენტი, აზარტული და მომგებიანი თამაშობებში მონაწილე პირები, უსაფრთხოება, ფინანსური და ტექნიკური სამსახური.

ადამიანის უფლებების დაცვა

შპს „როიალ გემბლინგი“ იზიარებს ანტიკორუფციული სააგენტოების საერთაშორისო გამოცდილებასა და რეფორმებს. საზოგადოების სამუშაო ტერიტორიაზე განლაგებულია მუდმივად მოქმედი სათვალთვალო კამერები, რომელთა მეშვეობითაც 24 საათიან რეჟიმში მიმდინარეობს მონაცემების ჩანერა და შემდგომ მისი შენახვა, რაც კანონმდებით არის მოთხოვნილი. ასევე სამუშაოების მიმდინარეობის დროს რეგულარულად ხორციელდება სამუშაოს მონიტორინგი.

შპს „როიალ გემბლინგი“ მუშაობს გამჭვირვალედ და სამართლებრივი ჩარჩოების ფარგლებში, ასევე მჭიდროდ თანამშრომლობს ნემისმიერ ორგანიზაციასთან ადამიანთა უფლებათა დაცვის საკითხების სათანადო შესწავლის და დაცვის მიზნით განხორციელებულ ღონისძიებებში.

საზოგადოების ფინანსური მდგრადობის მაჩვენებლები

2022 წლის ფინანსური მდგომარეობის კოეფიციენტები

$$\text{ლიკვიდობის კოეფიციენტი} = \frac{\text{საბრუნავი აქტივები}}{\text{მოკლევადიანი ვალდებულებები}} = \frac{5622272}{1794555} = 3.13$$

2022 წლის ინვესტიციების გამოყენების კოეფიციენტი

$$\text{აქტივების ბრუნვალობა} = \frac{\text{შემოსავალი რეალიზაციიდან}}{\text{სულ აქტივები}} = \frac{25813544}{11431730} = 2.258$$

შემოსავალი რეალიზაციიდან
25813544

დ. ს. გამოყენების ინტენსივობა=

დ.ს. ღირებულება
5809457

=4.44

თავი V

ინფორმაცია ენერგეტიკული რესურსების გამოყენების მოცულობის შესახებ

2022 წელს შპს „როაილ გემბლინგი“-ს მიერ გამოყენებული იქნა შემდეგი სახეობის ენერგეტიკული რესურსები:

N	დასახელება	განზ. ერთეული	რაოდენობა	ღირებულება (ლარი)
1	2	3	4	5
1	ელექტროენერგია	ათასი. კვტ*სთ	1394	445679
2	ბუნებრივი აირი	ათასი კმმ	101.23	124212
3	სანვაფი	ლიტრი	10526	41587

თავი VI

გარემოს დაცვა და ნარჩენების მართვა

გარემოსდაცვითი კანონმდებლობის შესახებ საზოგადოება ახორციელებს თვითკონტროლსა და თვითმონიტორინგს. მონიტორინგის სისტემა წარმოადგენს გარემოს მდგომარეობაზე დაკვირვებით მიღებული ინფორმაციის ანალიზსა და პროგნოზირების ერთობლიობას.

საწარმოს მიერ მონიტორინგის ორგანიზება წარმოადგენს შემდეგი ამოცანების გადაჭრას:

- საწარმოს ექსპლუატაციის დროს მოქმედი გარემოსდაცვითი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესრულება;
- რისკების თავიდან აცილება და მოსალოდნელი მავნე ზემოქმედების კონტროლი;
- დაინტერესებული პირების უზრუნველყოფა სათანადო გარემოსდაცვითი ინფორმაციით;
- ნეგატიური ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების განსაზღვრა;
- საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში პერიოდული გარემოსდაცვითი კონტროლი (კვარტალში ერთჯერ);

საწარმოს ნარჩენების გატანა ტერიტორიიდან ხდება ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ქვედანაყოფის შპს სანდასუფთავების მეშვეობით, რომლებიც 24 საათიან რეჟიმში საჭიროებიდან გამომდინარე ნარჩენების გატანას ახდენს ნაგავსაყრელზე. მომსახურების შესრულების პერიოდულობიდან გამომდინარე მუნიციპალიტეტის მიერ შესრულებული

სამუშაოები არის კვალიფიციური და ეფექტური.

გამუდმებით ვცდილობთ თავიდან ავიცილოთ, მინიმუმამდე შევამციროთ და შევარბილოთ ჩვენი საქმიანობით გამოწვეული ზემოქმედება გარემოზე. ჩვენ მივმართავთ კონკრეტულ ქმედებებს ბუნებრივი გარემოს დასაცავად, რაც ჩვენი გრძელვადიანი გეგმების ზედმინევით შესრულებით და ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების ქმედითი ღონისძიებებით გამოიხატება. ვიყენებთ მართვის სისტემურ მიდგომებს გარემოს დაცვის სფეროში (OMS). გარემოსდაცვითი მენეჯმენტის სისტემის განხორციელების პასუხისმგებლობა ხელმძღვანელ გუნდს ეკისრება.

ჩვენი მიზანია არ მივაყენოთ ზიანი ბუნებას და ჩვენი სამუშაოთი გამოწვეული გარემოზე ზემოქმედება მინიმუმამდე დავიყვანოთ.

ნარჩენების მართვა

ნარჩენების შემცირებისა და მართვის გაუმჯობესების მიზნით ჩვენ მუდმივად ინოვაციური და ეფექტიანი გზების ძიებაში ვართ. სახიფათო ნარჩენების შემცირების მიზნით გავატარებთ რიგი ღონისძიება, რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს კანონით ნარჩენების შესახებ. დაენიშნეთ ნარჩენების მართვის მენეჯერი, სახიფათო ნარჩენებს ვინახავთ კანონის შესაბამისად და მზად ვართ ვითანამშრომლოთ ადგილობრივ კომპანიასთან ამ სფეროში.

თავი VII

ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

საწარმოს მიერ საქმიანობის წარმატებით განხორციელებისთვის მნიშვნელოვანია რისკის მართვა. სამუშაო ტერიტორიაზე ვადგენთ რისკების მართვის სისტემას. ვითვალისწინებთ საგარეო, შიდა და საქმიანობასთან დაკავშირებულ რისკებს.

ჩვენთვის რისკის მართვის მთავარი ამოცანაა რისკების იდენტიფიკაცია და საპასუხო ღონისძიებების გატარება. რისკის მართვის საშუალებით ვავლენთ პოტენციურ დადებითი, თუ უარყოფითი ფაქტორები, რაც გავლენას ახდენს დაწესებულების საქმიანობაზე.

სისტემატიურად ხდება რისკის გარემოს შეფასება და ანალიზი, საპასუხო ღონისძიებები და მონიტორინგი.

საზოგადოების საქმიანობაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სამშენებლო რისკების დაზღვევას:

დაზღვევული ობიექტია:

1. ანაზღაუროს თანამშრომლის პრეტენზია კომპენსაციაზე, სხეულის ან ჯამრთელობის დაზიანებიდან გამომდინარე, რაც მას მიაღდა ნორმალური სამუშაო მოვლენების შესრულებისას.
 2. ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად მესამე პირის სიცოცხლეზე, ჯამრთელობაზე და/ან ქონებაზე დამდგარი ზიანი.სხვადასხვა მარაგების და ფასეულობების დაკარგვის და არამიზნობრივი ხარჯვისთვის ტარდება მთელი რიგი ღონისძიებები:
- ავტომანქანის საწვავის ავზებში დაყენებულია სპეციალური ჩიპები, რითაც კონტროლდება საწვავის წვის და ავტომანქანის მოძრაობა.

- ტერიტორიაზე დამონტაჟებული გვაქვს როგორც შიდა ასევე გარე კამერები, რომლითაც კონტროლდება სრულად ტერიტორია.
- კონტროლდება ობიექტებზე მასალების ხარჯვა და სისტემატიურად ხდება მისი შედარება ბუღალტრულ მონაცემებს.

მნიშვნელოვანი რისკია სათამაშო აპარატებისა მწყობრიდან გამოსვლა, რაც იწვევს სამუშაო პროცესის შეჩერებას და ფინანსურ დანაკარგებს, აღნიშნული რისკის შესამცირებლად:

- ვახდენთ მწყობრიდან გამოსული მექანიზმის ჩანაცვლებას საკუთარი ძალებით;
- სწრაფად უცვლით დაზიანებულ ნაწილს (მარაგში სულ გვაქვს სათადარიგო ნაწილები, რომლებიც ადვილად ზიანდება)
- თუ საჭიროება მოითხოვს მომწოდებლიდან უმოკლეს ვადაში ვახდენთ დაზიანებული ნაწილების შეძენას და სათამაშო აპარატის აღდგენას.
- პროექტის მუშაობისას ბუნებრივი მოვლენების შედეგად გამომდინარე რისკია: წყალდიდობა, მიწისძვრა, ხანძარი და სხვა მსგავსი, რომელიც დაზღვეულია მეიჯარის მიერ.

ქონებრივი რისკები დაკავშირებულია საწარმოს ქონების დაკარგვის ალბათობასთან რაც გამოწვეულია ქურდობის, დაუდევრობის, ტექნიკური და ტექნოლოგიური სისტემების უსაფრთხოების უგულველყოფის შედეგად. ასევე ქონება შეიძლება დაზიანდეს ხანძრის, წყალდიდობის, ქარიშხლის ან მრავალი სხვა მიზეზის გამო. ამ რისკების შესამცირებლად:

- გაზრდილი გვაქვს მ/პასუხისმგებელი პირების და უშუალო ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა.
- მეიჯარის მიერ დაზღვეულია საიჯარო ქონება, სადაც ვახდენთ ეკონომიკურ საქმიანობას.
- მანქანა/მექანიზმებს უტარდება ტექნიკური შემოწმებები და დათვალიერება.

რისკების მართვაში უმნიშვნელოვანესი ადგილი აქვს მაღალი კვალიფიკაციის კადრების ყოლას, რისთვისაც:

- საზოგადოება ხარჯავს დიდ დროს და თანხებს.
- გაიცემა მაღალი ანაზღაურება.
- სისტემატიურად იგზავნებიან კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებზე
- პასუხისმგებელი არიან მიმაგრებულ მექანიზმის გამართულ მუშაობაზე და მისთვის დროულად პროფილაქტიკური სამუშაოების ჩატარებაზე.

ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფულადი ნაკადები იცვლება საბაზრო ფასების ცვლილებების გამო, თუმცა ასეთი რისკები საზოგადოებას არ გააჩნია, რადგანაც შემოსავლების მიღება დაკავშირებულია ყოველდღიურ საქმიანობასთან, რომლის დროსაც მისაღები შემოსავლი მიღება ხდება ნაღდი ან უნაღდო ანგარიშჩორებით, ოპერაცია არ მოიცავს გრძელვადიან ურთიერთობებს.

მმართველობის ანგარიშის დამტკიცება

დირექტორმა მმართველობითი ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა, 2023 წლის 19 დეკემბერს.

- ტერიტორიაზე დამონტაჟებული გვაქვს როგორც შიდა ასევე გარე კამერები, რომლითაც კონტროლდება სრულად ტერიტორია.
- კონტროლდება ობიექტებზე მასალების ხარჯვა და სისტემატიურად ხდება მისი შედარება ბუღალტრულ მონაცემებს.

მნიშვნელოვანი რისკია სათამაშო აპარატებისა მწყობრიდან გამოსვლა, რაც იწვევს სამუშაო პროცესის შეჩერებას და ფინანსურ დანაკარგებს, აღნიშნული რისკის შესამცირებლად:

- ვახდენთ მწყობრიდან გამოსული მექანიზმის ჩანაცვლებას საკუთარი ძალებით;
- სწრაფად უცვლით დაზიანებულ ნაწილს (მარაგში სულ გვაქვს სათადარიგო ნაწილები, რომლებიც ადვილად ზიანდება)
- თუ საჭიროება მოითხოვს მომწოდებლიდან უმოკლეს ვადაში ვახდენთ დაზიანებული ნაწილების შეძენას და სათამაშო აპარატის აღდგენას.
- პროექტის მუშაობისას ბუნებრივი მოვლენების შედეგად გამომდინარე რისკია: წყალდიდობა, მიწისძვრა, ხანძარი და სხვა მსგავსი, რომელიც დაზღვეულია მეიჯარის მიერ.

ქონებრივი რისკები დაკავშირებულია საწარმოს ქონების დაკარგვის ალბათობასთან რაც გამოწვეულია ქურდობის, დაუდევრობის, ტექნიკური და ტექნოლოგიური სისტემების უსაფრთხოების უგულვლყოფის შედეგად. ასევე ქონება შეიძლება დაზიანდეს ხანძრის, წყალდიდობის, ქარიშხლის ან მრავალი სხვა მიზეზის გამო. ამ რისკების შესამცირებლად:

- გაზრდილი გვაქვს მ/პასუხისმგებელი პირების და უშუალო ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა.
- მეიჯარის მიერ დაზღვეულია საიჯარო ქონება, სადაც ვახდენთ ეკონომიკურ საქმიანობას.
- მანქანა/მექანიზმებს უტარდება ტექნიკური შემოწმებები და დათვალიერება.

რისკების მართვაში უმნიშვნელოვანესი ადგილი აქვს მაღალი კვალიფიკაციის კადრების ყოლას, რისთვისაც:

- საზოგადოება ხარჯავს დიდ დროს და თანხებს.
- გაიცემა მაღალი ანაზღაურება.
- სისტემატიურად იგზავნებიან კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებზე
- პასუხისმგებელი არიან მიმაგრებულ მექანიზმის გამართულ მუშაობაზე და მისთვის დროულად პროფილაქტიკური სამუშაოების ჩატარებაზე.

ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფულადი ნაკადები იცვლება საბაზრო ფასების ცვლილებების გამო, თუმცა ასეთი რისკები საზოგადოებას არ გააჩნია, რადგანაც შემოსავლების მიღება დაკავშირებულია ყოველდღიურ საქმიანობასთან, რომლის დროსაც მისაღები შემოსავლი მიღება ხდება ნადდი ან უნადლო ანგარიშწორებით, ოპერაცია არ მოიცავს გრძელვადიან ურთიერთობებს.

მმართველობის ანგარიშის დამტკიცება

დირექტორმა მმართველობითი ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა, 2023 წლის 19 დეკემბერს.

